საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გენადი მაკარიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	87	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

გენადი მაკარიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - გენადი მაკარიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის კუთხით** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის- გენადი მაკარიძის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში რეკომენდატორები და რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი არის ინიციატივის მქონე, მეგობრული, სამართლიანი, კეთილსინდისიერი, დამოუკიდებელი, შრომისმოყვარე, პრინციპული, მიუკერძოებელი, თავმდაბალი და დინჯი, რაც რესპოდენტის აზრით არ უშლის ხელს იყოს პრინციპული და პირდაპირი. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ გენადი მაკარიძე პრინციპული და მიუკერძოებელია. გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და

		პროფესიული უნარები, მედეგია სხვადასხვა ზეგავლენების მიმართ. მიმართ. ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა გენადი მაკარიძის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიუკერძოებლობის ან განსხვავებული რელიგიური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური კუთვნილების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს. კანდიდატის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის თანახმად, გენადი მაკარიძე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი, წევრი და შემომწირველი. **პიროვნული და პროფესიული ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ გენადი მაკარიძე, როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე, თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. კოლეგებს და სასამართლო პროცესის მონაწილეებს ეპყრობა თავაზიანად. კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის - მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის კუთხით** შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი მოსამართლე კოლეგებში სარგებლობს გაწონასწორებული ადამიანისა და მაღალკვალიფიციური იურისტის სახელით. მას ახასიათებენ განათლებულ

			პიროვნებად, პრინციპულ და გულმოდგინე პროფესიონალად სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. **ფინანსური ვალდებულებების კუთხით** კანდიდატის შეფასებისას აღსანიშნავია, რომ კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. ზემოთ ჩამოვლილი გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ გენადი მაკარიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	15	20	**სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის - გენადი მაკარიძის მატერიალური და პროცესუალური ნორმების, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე მაღალია. გენადი მაკარიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით, იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში მინიჭებული აქვს 56-ე ადგილი.

			უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრებისას კანდიდატმა შეკითხვებს უპასუხა ძირითადად სწორად. თუმცა, დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზებიც. მან ვერ გამოავლინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის სიღრმისეული ცოდნა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის** მახასიათებლით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ გენადი მაკარიძეს კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი აქვს ერთი სასამართლოს გადაწყვეტილება მის მიერ გამოტანილი, რომელიც დამაჯერებლად დასაბუთებულია. მოსამართლეს ყურადღების მიღმა (ანუ განუხილველად) არ აქვს დატოვებული მოდავე მხარეთა მიერ მოყვანილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და თანმდევი მტკიცებულებები. ფაქტობრივ გარემოებებს ადექვატური სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) აქვს მიცემული და ეფუძნება სამართლის არსებითად სწორ აღქმას.
წერის უნარი	16	20	**წერის უნარის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად. მისი წერილობითი მსჯელობა ძირითადად ლაკონური და ლოგიკურია. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არც ისე იშვიათად იყენებს რთულ წინადადებებს, რაც რთულად აღსაქმელია.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	**ზეპირი კომუნიკაციის უნარით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით და მშვიდად. სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადექვატურად. გააჩნია სხვისი აზრის მათ შორის განსხვავებული აზრის მოსმენის

			უნარი. მიმაჩნია, მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები გარშემომყოფთათვის ადვილად აღსაქმელია.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	**პროფესიული თვისებებით, მათ შორის სასამართლო სხდომის დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი, როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეებს ეპყრობა კორექტულად, სასამართლო პროცესს წარმართავს თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. მხარეებს აძლევს მათი მოსაზრებების გამოთქმის თანაბარ შესაძლებლობებს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ზედმიწევნით იცავს სხვადასხვა საპროცესო ეტაპისათვის დაწესებულ საპროცესო სპეციფიკას. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას აქვს მოსამართლის შესაფერისი იერსახე. საპროცესო ვადების დაცვის კუთხით მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის თანახმად მონაცემები შემდეგია: საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -88,1%; ვადის დარღვევით - 11,9%. გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -93,3%; ვადის დარღვევით - 6,7%. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 81,6%; შეცვლილი -18,4% საანგარიშო პერიოდში (1030 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 552 საქმე, დღეში საშუალოდ 0,5 საქმემდე. მოცემული პროცენტული მაჩვენებელი როგორც საქმის განხილვის საპროცესო ვადის დარღვევის, ასევე გადაწყვეტილების მომზადების ვადები საკმაოდ მაღალია.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ, მუდმივად ცდილობს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას და აქვს საკუთარ თავზე მუშაობის და თვითგანვითარების უნარი, რაც დადებითი მახასიათებელია.
პროფესიული აქტივობა	3	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ გენადი მაკარიძეს აქტიურად აქვს მონაწილეობა მიღებული სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებში და სემინარებში. (ჩამონათვალი იხილეთ კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში.) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გენადი მაკარიძე არ აქტიურობს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კუთხით.
ქულათა ჯამი	87	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21